საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა: კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი: კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი: კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: შპს-ს ყოფილი თანამშრომლები: ს. ს., მ. მ., ს. ქ., ნ. ი., ე. ა., ი. პ., ლ. მ., გ. ლ., თ. ჩ., გ. ჩ., თ. კ., გ. ჩ., შ. კ..

საჩივრის ავტორთა წარმომადგენელი: ს. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 114/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი№..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მომართეს შპს-ს თანამშრომლებმა და მოითხოვეს ადვოკატ ი. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორებთა განცხადებით, ადვოკატი ი. ბ. არის შპს-ს იურისტი. ის თავის უფლებამოსილებას იყენებს არასწორად და კომპანიის დირექტორთან ერთად აშანტაჟებს და ემუქრება კომპანიის ყოფილ თანამშრომლებს.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ ი. ბ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას, როდესაც მან კომპანიის ყოფილი ბუღალტერი ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ფულის გაფლანგვასა და არამიზნობრივ გადარიცხვებში დაადანაშაულა.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ ი. ბ.-ს უნდა შეუწყდეს ასოციაციის წევრობა, რადგან ის არ იცავს კანონს, არ იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას და გამოირჩევა ღირსებისა და პატივის შემლახავი ქმედებებით.

2. ადვოკატის პოზიცია:

ეთიკის კომისიის აპარატმა ადვოკატ ი. ბ.-ს 2018 წლის 06 სექტემბერს პირადად ჩააბარა შპს-ს ყოფილი თანამშრომლების საჩივარი ფოსტის მეშვეობით „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში არსებულ მისამართზე: თბილისი და ახსნა-განმარტების წარმოსადგენად ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განუსაზღვრა 7 დღის ვადა. ადვოკატმა ი. ბ.-მ არ წარმოადგინა ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიის აპარატის მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად მოცემულ საჩივარზე ადვოკატის პოზიცია უცნობია ეთიკის კომისიისათვის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№..../, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 შპს-ს ყოფილმა თანამშრომლებმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2018 წლის 10 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ი. ბ. თავის უფლებამოსილებას იყენებს არასწორად და კომპანიის დირექტორთან ერთად აშანტაჟებს და ემუქრება შპს-ს ყოფილ თანამშრომლებს. ასევე, მან კომპანიის ყოფილი ბუღალტრის მიმართ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, როდესაც ის ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ფულის გაფლანგვასა და არამიზნობრივ გადარიცხვებში დაადანაშაულა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები".

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით".

5.3 კოლეგია განმარტავს, რომ კანონიერების პრინციპისადმი ერთგულება ადვოკატის, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველის, მართლმსაჯულების მონაწილე პირისა და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის მთავარი პრინციპია. ნებისმიერ ურთიერთობაში ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეში N057/10 განმარტა, რომ ,,მართალია ადვოკატის მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა, მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონით გაუთვალისწინებელი, კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამის თაობაზე მას კლიენტმა სთხოვოს და კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება."

5.5 კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ ი. ბ.-ს, როგორც შპს-ს იურისტის მიერ გ. ჩ.-სადმი მიწერილი წერილი, რომლის ბოლო ამზაცში ადვოკატი უთითებს ,,თვენს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ სასამართლოს, რაც გამოიწვევს თქვენთვის დაკისრებულ თანხის გაზრდას, კერძოდ სასამართლოს ხარჯებით და აღსრულების ღირებულებით, თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, შეზღუდვა, ყადაღა, მოვალეთა რეესტრში შეყვანა.

5.6 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა დაიცვას კლიენტი, აღნიშნულ შემთხვევაში წერილში ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ მითითებულია ყველა კანონიერი საშუალება, რასაც გამოიყენებს კლიენტის შპს-ს ინტერესების დასაცავად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადვოკატს აძლევს საშუალებას სასამართლოს მიმართოს სარჩელით, გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებები და ცხადია, დავის მორიგებით დასრულება მხარეთათვის ნაკლებად ხარჯის შემცველია, ვიდრე წარმოება სასამართლოში.

შესაბამისად, შესაძლებელია, ადვოკატის მითითება დავის განვითარების შედეგებზე მოწინააღმდეგე მხარისათვის არ იყოს მოსაწონი, მაგრამ კანონიერია.

5.7 კოლეგიამ შეისწავლა საჩივრის ავტორთა მიერ ეთიკის კომისიაში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი სიუჟეტი - როგორც მთლიანი, ასევე დაჭრილი სახით. სიუჟეტში ადვოკატ ი. ბ.-ს ფრაზები გაჟღენთილია სიტყვებით: ,,ჩემი აზრით", ,,ჩემი მოსაზრებით", ,,მე ვფიქრობ", ,,მე პირადად მიმაჩნია დანაშაულად", ,,გამოძიება დაადგენს". ადვოკატი აფიქსირებს პირად მოსაზრებას, კლიენტის ინეტერესიდან გამომდინარე. კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული სიუჟეტებიდან ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არ დგინდება, ადვოკატი მოქმედებდა თავისი კლიენტის შპს-ს ინტერესების სასარგებლოდ, შესაბამისად, ადვოკატ ი. ბ.-ს არ დაურღვევია პროფესიული რეგულაცია.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით; მე-6 მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №114/18 ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი№..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/